№ 44
პარასკევი, 26 თებერვალი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 44
პარასკევი, 26 თებერვალი, 1899 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულებისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 2 მარტს.

ნინო იორამის ასული, მარიამ კონსტანტინეს ასული, ილია, ესტატე და ივანე ჯაჯანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი შვილისას, მეორე ქმრისას და უკანასკნელნი ძმისას—ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის მასწავლებლის

რაჟდენ სოლომონის ძის ჯაჯანაშვილისას.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველ დღე, დილით 11 საათზედ და საღამოთი—7 საათზე. პირველი ხევის ქუჩა (овражская улица), სახლი თეთრაძისა. (1—6.—1)

ქართული თეატრი
უკანასკნელი წარმოდგენა.

შაბათს, 27 თებერვალს,

ბენეფისი რეჟისორთა
ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა

ქ-ნ ეფ. მესხის, ნატ. რენელისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ბ-ნ ვ. გუნიასი და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

I

სულთა-მხუთავი

დრამა ხუთ-სურათად თარგმ. დ. მესხის მიერ.

II

პირველად განახლების შემდეგ

ოხრები

ფარსი 3 მოქმედ. გადმოკ. თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასსაში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი,

აუწყებს რა გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 2 მარტს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება საადგილ-მამულო ბანკის სადგომში გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, სთხოვს იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც უფლება აქვთ კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა (1876 წელს გამოცემ. კანონთა კრებულის მე-9 ტ. მე-98 მუხ.), მობრძანდნენ დანიშნულ დროს კრებაზედ.

განსახილველი საგნები:

1) როგორ უნდა განაწილდეს, ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდების მე-81 § თანახმად, რწმუნებულთა რიცხვი ტფილისის გუბერნიის მაზრათა შორის.

2. ტფილისის გუბერნიაში ერობის დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

3. იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული ტფილისის გუბერნიის მიწების დამიჯნის საქმის ასაჩქარებლად.

4. იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში ნდობა ჰქონდეს და სესხის აღება შეეძლოს და ამ ბანკის თამასუქთა გამნაღდებელს კომიტეტში თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს და,

5) იმის შესახებ, რომ სასწავლებლებში მეფე ერეკლეს სახელობაზედ სტიპენდიები იქმნას დაწესებული.

(3—6.—3)

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ურთიერთა კრედიტის საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 28 თებერვლისათვის, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიში 1898 წლ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მოხსენება ანგარიშის შესახებ.
4. 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5. არჩევანები: გამგეობის თავმჯდომარესი, გ. ს. განძიელის ნაცვლად, რომელსაც ვადა გასდის, ერთის დეპუტატისა თავ. ნ. ბ. ერისთავის ნაცვლად, რომელსაც აგრეთვე ვადა გასდის, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა. რწმუნების ქაღალდები წარდგენილ უნდა იქმნას კრების დაწყებამდე სამის დღით ადრე მაინც.

(3—6.—3)

გამგეობა

ზნე-ხასიათის გამასწორებელ სამეურნეო-სახელოსნო ახალშენთა და თავ-შესაფართა კავკასიის საზოგადოებისა, ამ საზოგადოების წესდების მე-16 §-ის თანახმად, აცხადებს, რომ შაბათს, 27 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1. საზოგადოების გამგეობის 1898 წლის მოქმედების ანგარიში.
2. საზოგადოების 1898 წ. ფულის ანგარიში.
3. სოფ. ზემო-ავჭალის ზნე ხასიათის გამასწორებელ ახალშენის 1898 წლის ანგარიში.
4. 1899 წლის ხარჯთ აღრიცხვა.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1898 წლის ანგარიშის და 1899 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.
6. ზემო-ავჭალის ახალ-შენის დირექტორის თანამდებობაზედ კ. კ. ჰყუნიას დამტკიცება.
7. იმის შესახებ, რომ ერთ-ერთს ახალ აგებულ ფარდულს ეწოდოს ს. ს. გონჩაროვის სახელი.

შენიშვნა: საზოგადო კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, თუ დაესწრო ოც წევრზედ არა ნაკლებ (საზოგადოების წესდების მე-17 §-ის თანახმად).

(3—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ე. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტკოვსკი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. მპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და 3 თებერვალს, ამა 1899 წელს უბოძა ორდენი წმ. ანნა მესამე ხარისხისა 12 წლის გულ-მოდგინე სამსახურისათვის იმ თანამდებობაში, რომელიც დასახელებულია სამოქალ. კანონ. კრებ. სტ. ორდ. დაწ. 459 მუხლის 15 პუნქტში, მღვდლებს: გუგაის წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიისა ტფილისში სოლომონ შოშიაშვილს, იმერეთის ეპარქიის სოფელ საქარისა—ლუკა ჩიპაშვილს, იმავე ეპარქიის სოფ. ზედა-მაღლაკისა—ტარასი ტყეშელაშვილს, 25 წლის განმავლობაში სახალხო სკოლებში სამსახურისათვის: ამიერ კავკასიის სამოსწავლო სემინარიის ეკკლესიის დეკანოზს ლაზარე ტურიაშვილს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიის მღვდელს მიხეილ ბერძენიშვილს.

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულების გამო ნადვორნი სოვეტნიკობა—ყვარელის პოლიციის ბოქაულს გომელაურს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ქ. სიღნაღის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს—ზალდასტანიშვილს, გუბერნსკი სეკრეტრობა: თელავის სამაზრო საპოლიციო სამმართველოს რეგისტრატორსა და არქივარიუსს ნარეკლიშვილს, ახალქალაქის სამაზრო საპოლიციო სამმართველოს თარჯიმანს მართულაძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა: ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საქმის-მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებელს ჩახნაშვილს, თიონეთის სამაზრო საპოლიციო სამმართველოს საქმის მწარმოებელს ნამორაძეს, იმავე სამაზრო საპოლიციო სამმართველოს შტატს გარეშე მოხელის თანამდებობის აღმასრულებელს მათურელს და ქ. ახალქალაქის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს თავ. ჯავახიშვილს.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ, გაზ. „კავკ“.-ს სიტყვით, დაავალა საექსარხოსოს ეპისკოპოსებს აღნიშნონ და აღწერონ ყველა ის ქონება, რაც ეპარქიების საკრებულო ტაძრებისა და მონასტრების საკუთრებას შეადგენს. ამავე ქონების სარევიზიოდ-კი, ამ ახლო მომავალში, მისის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით, შესდგება განსაკუთრებული კომისია.

⁂ შაბათს, 27 თებერვალს, ქართულ დრამატიულის დასის მიერ, ქართულ თეატრში, ამ დასის რეჟისორთა ვ. აბაშიძისა და კ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ 3 მოქმედ. დრამას „სულთა-მხუთავს“ და 3 მოქ. ფარსს „ოხრები“-ს.

⁂ ამავე დღეს, სახალხო კითხვების სადგომში, ავჭალის ქუჩაზედ, სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო წარმოდგენა იქმნება გამართული.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა წარუდგინა უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად ხარჯთ-აღრიცხვა და პროექტი ქალ. ზაქათალაში მდინარე ტალუზედ ხიდის გამართვის შესახებ. პროექტით ამ ხიდის გასამართავად ხარჯი გამოანგარიშებულია 7,535 მანეთი 32 კაპ.

⁂ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა შესაძლებელად სცნეს ნება დართონ ტფილისის გუბერნიის ნორიოს სოფლის საზოგადოებას ამ საზოგადოებაზედ დარჩენილი საკომლო და საერობო გარდასახადი, სულ 2,940 მან. 97 კაპ., გარდაიხადოს ოთხის წლის განმავლობაში 1899 წლის იანვრიდგან დაწყობილი თანასწორად ყოველ წელიწადს.

⁂ კავკასიის საბრეშუმო სადგური გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: იმ აბრეშუმის თესლიდგან, რომელიც წელს სხვა და სხვა ფირმამ წარმოადგინა სადგურში გამოსაკვლევად, შემდეგ ფირმების თესლი აღმოჩნდა ავადმყოფი: 1, გალფორ და პერიესი, 2. ბ. ჩილინგირიანისა; 3, ბერტესი; 4, კრიკორ ისკირიანისა; 5. სოგომონოვის და კონსტანტინიდესი; 6, არსენიანცისა; 7 არასხანიანცისა, 8, თადევოსიანცისა; 9, კავუნიდესი; 10, კონსტანტინიდესი; 11, აპოსტოლიდესი; 12, აპიკისა და 13, კონსტანტინიდეს კანდურაჯისა.

⁂ თელავიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ გზა თელავსა და ტფილისს შუა სრულიად გაწმენდილ იქმნა თოვლისა და ზვავებისაგანა.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად დიდუბის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მუშტაიდი არ დაიკეტოს ხოლმე ღამე და გაყვანილ იქმნას დიდუბეში ახალი ქუჩა. ამ ქუჩამ უნდა გაიაროს სახელმწიფო, ქალაქისა და კერძო კაცების მამულებზედ. ამის გამო ეხლა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას შემდეგი ცნობები: 1, რამდენი უნდა დაეთმოს ამ ქუჩას სახელმწიფო მიწა, აგრეთვე ქალაქისა და კერძო კაცებისა; 2, კერძო მამულის პატრონთა ფორ-

მალური ქალაქდი იმის შესახებ, რომ ისინი თანახმანი არიან დაუთმონ ქუჩას საჭირო მიწა, და 3, ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა ქალაქის თანხიდგან მისცეს ფული იმ კერძო მამულის პატრონთ, რომელნიც უსასყიდლოდ არ დაუთმობენ საჭირო მიწას ქუჩისათვის.

⁂ როგორც იუწყებიან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ლ. გ. ფედოროვსკი ამ გზაზედ სამსახურს თავს ანებებს და რუსეთის ერთ-ერთ კერძო რკინის გზაზედ გადადისო.

⁂ პეტერბურგიდგან გაზეთ „კავკ“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე, უმაღლესის ბრძანებით, თვისისავე თხოვნის თანახმად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგანაო.

⁂ ფოთიდგან სწერენ „ახ. მიმ“-ს: შემუშავებულ და შინაგან საქმეთა სამინისტროში წარდგენილ იქმნა პროექტი იმის შესახებ, რომ ამ ქალაქში ძაღლებს გარდასახადი დაედოსო.

⁂ ერევნიდგან „კავკ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ 24 თებერვალს, დილის 10 საათზედ, საჯაროთ სიკვდილით დასჯილ იქმნენ ჰაჯი-მამედ-დალიახ-ოღლი და სულთან-ალი-ოღლი, რომელთაც ბოქაულის მონასტირსკის მოკვლა ჰბრალდებოდათო.

⁂ განსაკუთრებულმა კომისიამ, შემდგარმა პოლიციის მოხელეთა და ტეხნიკოსთაგან დაათვალიერა ამ დღეებში თავ. მუხრან-ბატონის სახლი ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ. როგორც კომისიის მიერ შედგენილ ოქმიდგანა სჩანს, ეს სახლი იმდენად არის დაძველებული, რომ საჭიროა იმის გაუქმება და დანგრევა. ქალაქის მე 3 ნაწილის ბოქაულმა თავ. სიდამონოვ-ერისთავმა უკვე გაუგზავნა ქალაქის გამგეობას პირი ამ ოქმისა. ამ სახლში მოთავსებულია წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა, ამის გამო წარმომადგენელმა ამხანაგობისამ ბ-ნმა ჯაბადარმა სთხოვა გამგეობას, ორის თვით გადასდოთ სახლის გაუქმება, ვიდრე სტამბისათვის ახალს სადგომს მოვძებნიდეთო.

⁂ 23 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ავეტისოვის წისქვილის მახლობლად მტკვრის ნაპირს ჰნახეს მკვდარის ასე 40 წლის კაცის გვამი, რომელსაც ზედ ეცვა დრაფის პალტო, ჟაკეტი და შავი შარვალი. გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო სადგურში გაჰგზავნეს.

⁂ ამას წინად გორის მაზრაში ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს სოფ. კეხვის მცხოვრებელის დათო კოხნიაშვილის საბძელს, სადაც ქერი და პური ინახებოდა.

⁂ 24 თებერვალს ქალაქ ტფილისის პირველ ნაწილის ბოქაულს ბ.—მ. გამოუცხადა, რომ ჩემმა სიდედრმა ჩემი მოკვლა განიზრახა, ორჯელ რევოლვერი მესროლა, მაგრამ საბედნიეროდ არც ერთი ტყვია არ მომხვდაო.

◆ ◆

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

24 თებერვალი.

როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, ამ კრებას უნდა მოესმინა ბ-ნ საკოვის მოხსენება ჩვენში ერობის შემოღების შესახებ. არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ჩვენს საზოგადოებას, რომ, თუმცა ასეთი საყურადღებო საგანი იყო დანიშნული განსახილველიც, ქართველთაგან ორის-სამის წევრის მეტი კრებას არავინ დაესწრო.

რადგანაც ბ-ნ საკოვის მოხსენება ერობის შემოღების შესახებ მეტად ვრცელია, ამიტომ ჩვენ აქ სულ მოკლედ გარდავცემთ მკითხველს შინაარს ამ მოხსენებისას. უპირველესად უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნი საკოვი სინიდისიერად მოჰკიდებია საქმეს და შრომა არ დაუზოგია, რომ მოხსენება, რამდენადაც-კი ერთ კაცს ღონე შესწევს, სრული და უნაკლულო ყოფილიყოს.

მოხსენების დასაწყისში ავტორი ამბობს, რომ ამ ბოლოს დროს ამიერ-კავკასიაში სასოფლო მეურნეობა საშინლად დაეცა და არამც თუ წარმატება არ ეტყობა, არამედ დღითი დღე უფრო უკან მიდისო. მიზეზი ამისა მრავალია და მათ შორის უმთავრესად ავტორს შემდეგი აქვს დასახელებული: 1) მიწის სიმცირე. საზოგადოდ ამიერ-კავკასიის გლეხები მეტად მცირე მიწის პატრონნი არიან, კერძოდ-კი ზოგიერთ გუბერნიის მცხოვრებთა მიწა იმდენად მცირეა, რომ რაც უნდა კარგი მოსავალი იყოს, ამ მიწას არ შეუძლიან პატრონის გამოკვება. როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, ყველაზედ მეტი ნადელი მიზომილი აქვთ ნემეცებს ახალშენელებს. ეს ახალშენელები თითქმის სამჯერ და ოთხჯერ უფრო მეტის ნადელის პატრონნი არიან, ვიდრე ადგილობრივი მკვიდრნი, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიისა, სადაც ერთ კომლ გლეხზედ იმდენი მიწა მოდის, რამდენიც სხვა გუბერნიაში თითო სულზედ მოდის. ამას გარდა თვისებითაც საუკეთესო მიწები ახალშენელებს უჭირავთ. 2) გაუმიჯნაობა მიწებისა. მიწების გაუმიჯნაობის წყალობით ყველაზედ დიდს ტანჯვასა და წვალებაში არიან დროებით ვალდებული გლეხნი. 3) მეტად დიდი გადასახადები. ეს გარდასახადები სრულიად არ შეეფერება გლეხის ქონებასა და ავლა-დიდებას. საერობო გარდასახადის რაოდენობა შეადგენს $3^1/_2$ მილიონს, აქედგან 3-მილიონამდე გლეხ კაცობას აწევს კისერზედ. 4) ბეგარა. კარგა ხანია, რაც ბეგარა აღარ არსებობს რუსეთის იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არის შემოღებული, ჩვენში ბეგარის გარდახდა მხოლოდ გლეხებს აქვთ დაკისრებული, დანარჩენი წოდებანი სრულიად მონაწილეობას არ იღებენ ამ საქმეში. ბეგარა გლეხს მძიმე ტვირთად აწევს: ზოგჯერ ისეთ დროს გაიწვევენ ხოლმე სამუშაოდ, როდესაც უსათუოდ საჭიროა გლეხი შინ იყოს. 5) გაუნათლებლობა ხალხისა, სასწავლებლების სიცოტავე ჩვენში, განსაკუთრებით ისეთის სასწავლებლებისა, სადაც სამეურნეო სწავლა-ცოდნის შეძენა შეიძლებოდეს. სასწავლებლების რაოდენობით მთელი კავსასია ძრიელ ჩამორჩა რუსეთის შიდა გუბერნიებს. კავკასიაში სულ 47 საშუალო, 66—დაბალი და 1363 პირველ-დაწყებითი სასწავლებელია. აქედგან ორთა შუა რიცხვით ერთი სასწავლებელი მოდის თითქმის 10,000 სულზედ. მოსწავლეთა რიცხვი კავკასიაში არის 126,067, მათ შორის რუსები შეადგენენ $53^0/_0$, ქართველები—$18{,}40^0/_0$, სომხები—$14{,}9^0/_0$, თათრები—$3{,}3^0/_0$. კავკასიის ადგილობრივი მკვიდრნი შეადგენენ მოსწავლეთა მხოლოდ $^1/_8$—დს. 6) უგზოობა. უგზოობა მეტად და შესამჩნევად აფერხებს ქვეყნის წარმატებასა და წინ-მსვლელობას. განსაკუთრებით ეს ნაკლი თვალ-საჩინოა მთა-ადგილებისათვის, სადაც ბილიკების მეტი არავითარი გზა არ არის. ხშირად ზოგიერთი კუთხე უგზოობისა გამო მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას. ამ უგზოობის წყალობითვე, მაგალითად, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებში როდესაც სიმინდი ფუთი 30—35 კაპ. ჰფასობს, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში მაზანდა ერთ მანეთამდის ადის. 8) სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის ჩამორჩენა. ამ მხრივ ჩვენ მეურნეობას არავითარი წარმატება არ ეტყობა. სოფელში იმავე სამეურნეო იარაღს ჰხმარობენ, რასაც ამ რამდენისამე საუკუნის წინად ხმარობდნენ. 9) სხვა და სხვა სენი და ავადმყოფობა, როგორც, მაგალითად, ფილოქსერა, ნაცარი, ობი, ანტრაკნოზი, საქონლის ჭირი, თურქული და მრავალი სხვა. ყველამ კარგად უწყის, რა ვნება და ზარალი მოაქვს ყველა ამ სენსა და ავადმყოფობას. 10) მოუსავლობა და შიმშილობა, რომელიც ამ ბოლოს დროს თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა. 11) კავკასიის შინა მრეწველობის უყურადღებოდ მიტოვება. კავკასიაში ჯერ ამ მრეწველების არც ერთი სასწავლებელი არ არსებობს. გარდა ამისა შინა-მრეწველობის ნაწარმოებს ბაზარი არა აქვს. 12) სამკურნალო საქმის მოუწყობლობა და უმკურნალოდ ყოფნა. ქუთაისის გუ გუბერნიაში, მაგალითად, ერთი მკურნალი მოდის 115 ათას სულზედ. და კიდევ მრავალი სხვა მიზეზია, რომელიც აფერხებს ქვეყნის წარმატებასა და წინ-მსვლელობის საქმეს.

ყველა ამ შემაფერხებელ მიზეზების ცოტად თუ ბევრად თავიდგან აცილება შეუძლიან ისეთ დაწესებულებას, როგორიც არის ერობა. დღეს ყველა საქმეს, როგორიც საადმინისტრაციოს, აგრეთვე სამეურნეოს, განაგებს ადმინისტრაცია. აშკარაა, რომ იგი ვერ გასწვდება ყველაფერს. ამიტომ საჭიროა ერთი ნაწილი იმისა, რაც დღეს ადმინისტრაციის მზრუნველობასა აქვს ჩაბარებული. სახელდობრ ყველა ის საქმე, რაც ხალხის მეურნეობას, სოფლის შინაურ საქმეს შეეხება, ჩაჰბარდეს თვით ხალხს, ე. ი. ერობა იქმნეს შემოღებული, რუსეთის იმ გუბერნიების მაგალითი, სადაც ერობა არის შემოღებული, გვარწმუნებს, რომ ერობამ ამ გუბერნიებს მეტად დიდი და თვალ-საჩინო სარგებლობა მოუტანა. იქ, მაგალითად, თითო გუბერნია სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებას ანდომებს 40,000 მანეთს, კავკასიის თითო გუბერნია კი—მხოლოდ 2,000 მანეთს. ამ რიგად ერობის შემოღება კავკასიაში ერთს უმთავრესსა და უსაჭიროესს საგანს შეადგენს. დასასრულ მოხსენების ავტორი ურჩევს სამეურნეო საზოგადოებას, ქუთაისის და ტფილისის თავად-აზნაურობასთან ერთად, იმანაც აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ერობის შემოღების შესახებ.

მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ყველა ორატორი თანახმა იყო მოხსენების ავტორისა,—ერობის შემოღება ჩვენში აუცილებლად საჭიროაო, მხოლოდ ზოგმა აღნიშნა, რომ მოხსენებას ზოგი რამ კიდევ აკლიაო.

ა. ბ. ეგანგულოვი. თუმცა მოხსენება კარგად და საბუთიანად არის შედგენილი, მაგრამ ის არ არის გამორკვეული, რა მიზეზის გამო არ იქმნა დღემდის შემოღებული კავკასიაში ერობა. ეს-კი საჭირო იყო. ასეთ მიზეზად ასახელებენ რუსულის ენის უცოდინარობას, მაგრამ ეს მართალი არ არის, ეხლა გლეხებიც·

ფელეტონი

საჯარო საკითხავი ხალხისათვის.

განათლებულ ქვეყნებში—ევროპასა და ამერიკაში სკოლებს დიდი ხანია უშრეტი ნათელი ცოდნისა შეაქვს საზოგადოებაში, მაგრამ მეტად ძლიერად გაფართოვდა აქ ხალხის წვრთნა სახალხო ტრიბუნიდგან. აქ არც ძალ-ღონესა და არც ფულს არა ჰზოგავენ ცოდნის კაცნი, რათა ტრიბუნიდგან შეაგონონ ხალხს ის, რაც აზრის მესვეურთ ამ საუკუნის ჭეშმარიტებად დასდეს და რასაც მეცნიერებამ მიაგნო დღევანდლამდე, ხალხიც გაშმაგებული დაეცა ამ სულიერ საზრდოს. ამ მოძრაობას ბურჯებად დღეს უდგიან იქ უნივერსიტეტები პროფესორებით და ლექტორებით, ახალგაზდა მეცნიერნი, საზოგადოებანი, მთავრობის დაწესებულებანი, მწერლობა ხომ განსამხნევებლად ამ საქმისათვის ჰგანგაშებს, განათლებულმა სასულიერო წოდებამაც-კი ამის გამო დევიზად გაიხადა: „ყოველს მეცნიერებას გზა ღვთაებისკენ უდევსო“. იმიტომ იქ დაწესდა სახალხო უნივერსიტეტები, მუზეუმები, სახალხო თეატრი, მრავალი სახალხო სამკითხველოები, სამეურნეო და ხალხისთვის საკრედიტო დაწესებულებანი და ვინ მოსთვლის რამდენი რამ სხვა ხალხისთვის სანეტარო და სასარგებლო. იმიტომ იქ ყველა გლეხმა იცის გაზეთით სარგებლობა. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ნიჭი, რომელიც სხვაგან იხშვება ხალხის უმეცრებით და ათასში ერთს თუ ეღირსება ხოლმე ფართე გზაზე გამოსვლა, ევროპასა და ამერიკაში უეჭველად გზას ჰპოულობს და ებმება ქვეყნის წინ მსვლელობის უღელში. ან-კი ვისთვისაა იქ დღეს დამალული, რომ გამოჩენილი უადტი ხუროს შვილი იყო, დალტონი—ფეიქრისა, სტეფანსონი 18 წლამდის მწყემსად იყო და წიგნი არ იცოდა და სხვა...

განათლებულს ქვეყნებს არ შეიძლება, რომ რუსეთიც არ აჰყვეს. რუსეთში $90^0/_0$ ქვეშევრდომთა წიგნის უცოდინარია, მაგრამ მაინც 27 მკათათვეს 1884 წ. უმაღლესად იქმნა ნაბრძანები: ზოგიერთ გუბერნიების მოზრდილ სამაზრო ქალაქებში იქმნას ხოლმე გამართული სახალხო კითხვა-ბაასნი, სამოსწავლო მთავრობის ზედამხედველობითაო. ამით ისარგებლეს მცოდნე კაცთ და პირველად გაიმართა საჯარო კითხვა ზოგიერთ ქალაქებში მდაბიო ხალხისთვის. 28 მაის 1888 წელს გამოიცა მეორე უფრო ფართე კანონმდებლობა, რომლის ძალით გამწესდა საეპარქიო საბჭონი, სამაზრო საბჭონი და ამათ მიეცათ უფლება სახალხო წიგნთ-საცავებისა და საკითხავების დაწესებისა, საჯარო ლექციების წარმოთქმის ნების მიცემა და სხვანი—მას აქეთ უფრო გაფართოვდა სახალხო საკითხავები და იმათთვის ტრიბუნა სოფლებშიაც-კი დაარსდა. გამოიცა ხალხისთვის მრავალი საკითხავი წიგნები, გაჩნდა ფარნებით დასურათება წაკითხულისა, დაწესდა საზოგადოებანი და გაჩნდნენ გულმხურვალე მოღვაწენი ამ საქმის ხალხში განსახორციელებლად.

მთავრობამ უკეთ შეიგნო მადლი ამ საქმისა, იმიტომ 11 ოქტომბერს 1894 წელს მინისტრთა კომიტეტმა დააწესა: ყველა მიყრუებულ სოფელს, მაზრის ქალაქს, ყოველ სკოლას, სოფლის სამმართველს და ყოველ კერძო კაცს შეუძლიან გაჰმართოს საჯარო კითხვა, მხოლოდ ნება-რთვა უნდა ითხოვოს ან დირექციისაგან, ან საეპარქიო არქიელისაგან. ამათ უნდა მისცენ ნება დაუბრკოლებლივ, თუ პოლიცია შეამტკიცებს მათ კეთილ-საიმედო მიმართულებას. ეს სრულიად საკმარი იყო, რომ რუსეთის შორეულ მიყრუებულ სოფლებშიაც კი გამართულიყო ასეთი სამკითხველოები. თვით ტფილისშიაც დღეს სამს ალაგას იმართება საჯარო ლექციები მდაბიო ხალხისთვის და საკუთარ მშვენიერ შენობის აშენებასაც აპირებენ..

**

ჩვენ?.. ჩვენ „ბედნიერნი“ რაღასა ვჩადით?! თითქმის არაფერს.. ევროპასა და რუსეთის შიდა გუბერნიებს არ ვეთანხმებით, რომ საჯარო ტრიბუნა ყველაზედ საიმედო აზარმაცი ხალხის განვითარებისა, მისი გონების გახსნისა. თვით ტფილისში ერთი ლექცია არ წაკითხულა ქართულს ენაზედ, თუ არ ვიანგარიშებთ საეპარქიო საბჭოს მიერ ეკკლესიებთან გამართულ საუბრებს. ნუ თუ ავლაბარი, ჩუღურეთი უქართულ ტრიბუნოდ უნდა იყვნენ დატოვებულნი? ქუთაისი თავისის მოწინავე ახალგაზდობით რაღასა ჰფიქრობს? გორი, სიღნაღი, თელავი და სხვები?!. ან თვით სოფლები, სადაც ხალხი ჰკვნესის უმეცრებით და ცოდნა სწყურიან?!. თუ რა დიად მადლსა ჰფენს ეს საქმე ხალხში, ნახეთ გამართული საუბარნი ქვაშვეთის ეკკლესიასთან... რუსეთის სამკითხველოების მაგალითებით დაგისურათებდით, თუ რა საუნჯეა საჯარო ტრი- იბუნა, მაგრამ განა ეს საჭიროა?!. გეტყვით, რომ სოფელში ვცადეთ ეს საქმე და თუმცა ოცი წელიწადია სახალხო სკოლასთან, ხალხთან საუბარ-ქადაგებების მოსმენა-ნახვასთან შევხორცმეტდი, მაინც ასეთი რამ ჩემ თვალს არა უნახავს რა; სულ უბრალო სოფელში ორასამდე გლეხ კაცი თავ-პირს იმტვრევდა საუბრის მოსმენისთვის... არც წვიმა, არც ქარი იმათ უკან არ აყენებდა... ხალხისთვის საკითხავი წიგნები, ფარნები დასასურათებლად და გულშემატკივარნი კაცნი... „სამკალი ბევრია—მომკალი არა...“

მღვ. ზ. გულისაშვილი

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი კარგად ჰლაპარაკობენ რუსულს.

ბ-ნი ვართანოვი. გარდა იმ მიზეზებისა, რომელიც მოხსენებაშია დასახელებული და რომელიც საჭიროდ ჰყოფს ერობის შემოღებას, უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ ხალხის წინ-მსვლელობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს თვით-მმართველობას. უბრალო მაგალითს დავასახელებ. იმის წყალობით, რომ ფინლანდიელები თვით განაგებდნენ შინაურ საქმეებს, ამ ქვეყანამ ბევრით გაუსწრო რუსეთის სხვა კუთხეებს, თუმცა ფინლანდიის ბუნება მეტად მწირი, უნიადაგო და ღარიბია. მეორე მაგალითიც. ცნობილია, რომ სომხები ეკონომიურად სხვა კავკასიის ხალხზედ მაღლა სდგანან. ამის მიზეზს ხალხის ბუნებით ნიჭსა და უნარში ჰხედვენ ბევრნი, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს ასე არ არის. სომხებმა თუ ეკონომიურად სხვა ხალხს გაუსწრეს, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ შინაურ საქმეების გამგეობაში მეტი უფლება ჰქონდათ მინიჭებული, შეეძლოთ, მაგალითად მღვდლების ამორჩევა, სკოლების დაარსება და სხვა.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი. ყველა წოდებას აქვს ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეუძლიან იმის მაგიერად შუამდგომლობა გასწიოს მთავრობის წინაშე. ამას მოკლებულია მხოლოდ გლეხობა. ერობა სწორედ ასეთ სამსახურს გაუწევს გლეხობას. ამიტომ საჭიროა შუამდგომლობაში ეს გარემოებაც მოვიხსენიოთ.

ბ-ნი სოკოლოვი. ყველა თანახმაა, რომ ერობა იქმნას შემოღებული, მაგრამ იმას-კი აღარ ამბობენ, რაგვარი ერობა უნდა იქმნას შემოღებული. რუსეთში ერობა ორგვარია: ერთი, როგორიც შიდა გუბერნიებშია, მეორე, როგორიც ამ რამდენისამე ხნის წინად დასავლეთ გუბერნიებში შემოიღეს. ესენი-კი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. დასავლეთ გუბერნიებში, მაგალითად, საჭიროა დიდი ქონებრივი ცენზი ერობის დაწესებულებებში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი ერობა თუ იქმნა შემოღებული, მაშინ გლეხები მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ბ. დ. ყურული. დიდი განსხვავებაა რუსეთსა და ჩვენს შორის. იქ თავად-აზნაურობა მრავალის მამულის პატრონია და ამ მხრივ დიდი ზღვარი დევს იმათსა და გლეხობის შორის, ჩვენში-კი უმრავლესობას თავად-აზნაურობისას იმაზედ მეტი მიწა არა აქვს, რაც გლეხობასა აქვს.

დასასრულ თავმჯდომარემ თავ. პ. ა. გრუზინსკიმ გარდასაწყვეტად ორი საკითხი წამოაყენა.

1, შემოღებულ იქმნას თუ არა ერობა?

2, ვის მიენდოს ამ საგნის შესახებ მოხსენების და შუამდგომლობის შემუშავება?

პირველი წინადადება კრებამ ერთხმად შეიწყნარა, მეორის შესახებ დაადგინა კომისია აარჩიოს და იმას მიანდოს. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნი სააკოვი, თავ. ვ. გ. მაჩაბელი, ა. ა. ქალანთარი, გ. დ. ქურული, ა. ბ. ევანგულოვი, თავ. დ. ჩოლოყაშვილი, ბ-ნნი ზავაროვი და დანდუროვი.

კრებამ მოხსენების წარმოსადგენ ვადად კომისიას 16 აპრილი დაუნიშნა.

◆ ◆

კრება მეორე რიგის მსესხებელთა წარმომადგენლების ამოსარჩევად.

(წერილი ქუთაისიდგან)

23 თებერვალი.

თავმჯდომარეობს ზედამხედველის კომიტეტის თავმჯდომარე თ. ა. წულუკიძე.

მეორე რიგის ამომრჩეველი 183-ა, რომელთაგან კრებაზედ გამოცხადდა მხოლოდ 83 წევრი. წარმომადგენლებად კენჭი იყარა 76 მსესხებელმა. კენჭის ყრის დაწყებამდის ექიმმა დ. ა. ნაზაროვმა თავმჯდომარეს გამოუცხადა, რომ ცნობილის დასის მომხრეთა ყუთები ერთად დაუწყვიათ, ასე რომ ამომრჩევლებმა იციან, საიდგან სადამდის შავი კენჭი ჩააგდონ, საიდგან სადამდის—თეთრი. მე გთხოვთ, ყუთები ან ანბანის წესით დააწყოთ, ან იმისდა გვარად, თუ ვის მეტი ხმა მოუვიდა კანდიდატობისა, ვის ნაკლები. თავმჯდომარემ ეს თხოვნა არ შეიწყნარა. ბატონმა ნაზაროვმა სთხოვა მდივანს, ეს გარემოება ოქმში აღენიშნა, რაიცა ასრულებულ იქმნა. თავმჯდომარემ ათი ასისტენტი მიიწვია ყუთებთან. კენჭის ყრა დაიწყო პირველ საათზე და გათავდა საღამოს ხუთს საათზე. მესამე რიგის მსესხებელთა წარმომადგენლების ამორჩევა დაიწყება ზეგ, ხუთშაბათს.

მსესხებელთა მეორე რიგის წარმომადგენლებად ამორჩეულ იქმნენ შემდეგი 35 კაცი:

	თ.	შ.
პურადოვი ივანე ის. ძე	57	25
კლდიაშვილი სიმონ	57	24
ჩიკვაიძე თომა ნიკ. ძე	55	26
გაბუნია ფარნა	53	30
ერისთავი გიორგი დავ. ძე	52	31
მაჰავარიანი კონ. ბეჟ. ძე	52	31
პურადოვი ისაკ ივანეს ძე	51	31
კორძაია სოლომონ	51	32
ჯაფარიძე რომან	51	32
დუმბაძე ივანე ანტონის ძე	51	31
ნიჟარაძე იაგორ	50	32
გამრეკლიძე ისიდორე	49	33
ჯიჯიხია ნიკოლოზ	49	34
ჯაიანი ლევან	49	34
გაბაშვილი ბესარიონ	48	35
კოკოჩოვი პეტრე	48	35
ჩხეიძე პავლე მათეს ძე	49	33
შენგელია სერაფიონ	48	34
გოგიჩაძე სიმონ	47	36
ნიჟარაძე გრიგოლ	47	36
ვოლოხი მიხეილ	47	34
ჩხეიძე ანტონ	46	37
მაღრაძე ნიკოლოოზ	46	36
იაშვილი ჯიბ.	46	38
ლორთქიფანიძე სიმონ	46	36
გუგუშვილი დავით	44	38
გაბაშვილი პიმენ	44	38
სტეფანოვი ლევ.	44	38
გერსამია ნესტორ	44	38
ნარსია ეგნატე	43	41
აბაშიძე კონსტან	43	40
ზუბალოვი მიხეილ	45	37
ლიარია დავით	42	41
დემიდოვი ნიკოლოზ	43	39
გაბაშვილი ალექსი მაქ. ძე	42	40

—

არც ამ რიგში ამოირჩიეს ბ-ნნი გ. ზდანოვიჩი, კონ. ბაქრაძე, ალექ. ჰყონია, ი. ჩიმაკაძე, თ. მ. გ. ლორთქიფანიძე და ექიმი დ. ა. ნაზაროვი.

◆ ◆

წერილი არგვეთიდგან

ჩხარელ სომხების ექიმბაშობა.—ჩხარელი ვაჭრების ხრიკები სხვა-და-სხვა წამლებისა, ყალბი სანთლისა და საფოსტო და ღერბის მარკების გაყიდვის შესახებ.—ქურდის ივანე კვარაკვახიძის დაჭერა.—სხვა-და-სხვა გვარ ავადმყოფობის გავრცელება არგვეთში და მისი მიზეზები.

ჩხარელ სომხების უმრავლესობა მარტო ვაჭრობას არ სჯერდება და, თავისის ჯიბის გასასქელებლად, ექიმობასაც მიჰყოფ ხელი. ექიმობას ჩემულობენ არა მარტო დედაკაცები, როგორც ეს უმეტეს ნაწილად არის ჩვენში, არამედ მამაკაცებიც. აქაურ მდაბიო ხალხს დაჭეშმარიტებით სწამს, რომ ჩხარელ სომხებს ექიმობა საგანგებოდ აქვთ შესწავლილი, რის გამოც გაჭირვების დროს პირველად იმათ მიჰმართავენ ხოლმე. ყოველ გვარ ავადმყოფობის წინააღმდეგ ეს ვაჟბატონები წამალს იძლევიან. აქაურ სომხებს შორის ყველაზედ უფრო თავი მოაქვს ექიმობით აქაურ ეკკლესიის მთავარ დიაკვანს. ეს სულიერი მამა ყველას წამალს აძლევს, მაგრამ მისგან მორჩენილი-კი არავინ გვინახავს. ჯოჯოხეთს ერთი მეგუზალი აკლდა და ისიც მიემატა, რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ასე გვემართება ჩვენც, ქართველებს; უვიცი ექიმბაშები ჩვენც ბევრი გვყავს და ეს დალოცვილი სომხებიც მიემატნენ.

დაბა ჩხარის მცხოვრებნი, იმისდა მიუხედავად, რომ ამ დაბაში აფთიაქი დიდის ხნიდგან არსებობს, სხვა-და-სხვა სავაჭროსთან ერთად ნამდვილად წამლებსაც ჰყიდიან და აფთიაქის არსებობას განსაცდელში აყენებენ. ყველანი კარგად მიჰხვდებიან, როგორის ღირსების წამლებსაც ჰყიდიან მედუქნეები და ამიტომ ამას შესახებ არას ვიტყვი. წამლების გარდა, აქაური ვაჭრები, განსაკუთრებით სომხები, არ ერიდებიან აგრეთვე ყალბის სანთლის გაყიდვას, წმინდა სანთლის ნაცვლად, და ამით დიდ ზარალს აძლევენ ეკკლესიებს. შარშან-წინ, ეკკლესიების რევიზიის დროს, ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა უბრძანა მღვდლებს, რომ არავისაგან ყალბი სანთელი შესაწირად არ მიიღოთო, მაგრამ ვერც ამ საშუალებამ მოსპო ყალბის სანთლის გაყიდვა ჩხარში. ფოსტისა და ღერბის მარკების ყიდვა-გაყიდვის საქმეც უწეს რიგოდ მიდის ჩხარში. შვიდ-კაპეიკიან ფოსტის მარკას აქ ორ შაურ ნაკლებ არა ჰყიდიან და ოთხ აბაზიან ღერბის მარკაში თვრამეტ შაურს ახდევინებენ. ზესტაფონი, სადაც ხაზინა და ფოსტის განყოფილება არსებობს, სადაც ყოველგვარი მარკები იყიდება, არც ისე შორს არის ჩხარზედ, რომ შვიდ კაპეიკიან საქონელზედ სამი კაპეიკი მეტი აიღონ და ოთხ აბაზიანზედ ორი შაური მეტი. ფოსტისა და ღერბის მარკების ყიდვა გაყიდვისათვის, რამდენადაც ვიცი, კანონიც არსებობს, და ნუ-თუ ეს კანონი ჩხარელ ვაჭრებისათვის სავალდებულო არ არის?

ნათქვამია: „ერთი შერჩა მელასაო, შეეჩვია კბენასაო“. სწორედ ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია არგვეთში ცნობილ ქურდ ივანე კვარაკვახიძეზედ. ამ ვაჟბატონს რამდენისამე წლის წინად სოფელს მეჯვრეთში დუქანი ჰქონდა და ყველას პატიოსან კაცად მიაჩნდა. მაგრამ ბოლოს გაკოტრდა და მედუქნეობას თავი დაანება; იმის ნაცვლად სხვისის ნაოფლარისა და ნაშრომის ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი; ისე მოხერხებულად ჰქურდობდა, რომ ამ ბოლო დრომდის ვერავინ ვერ შეუტყო. ვერც ახლა შეუტყობდნენ, ნაქურდალი ნივთები რომ დღისით არ წამოეღო. ამ ვაჟბატონმა ამ წლის თებერვალს, ღამე, სოფელს თავასში ორი-სამი ზედეული გასტეხა და ნაპარევის ნივთებით ზორბად დატვირთული ცხენით ალიონზედ შინისაკენ გზას გაუდგა. გათენდა თუ არა, დამკარგავთ ერთი ალიაქოთი ასტეხეს და სასოფლო სამართველოში განაცხადეს. ჩაფარი გიორგი ცინაძე და ადგილობრივი ხევისთავები ჩაუდგნენ ქურდს კვალში, დაეწიენ სოფელს თერჯოლაში და შეკრული წარუდგინეს ჩხარის ბოქაულს თავისის დატვირთულის ცხენითურთ. ამ გმირმა ერთი ღამე ჩხარის სატუსაღოში გაატარა და მეორე დღეს ოქმი შეუდგინეს და გამომძიებელს გადასცეს.

თუმცა არგვეთში წელს თოვლი თითქმის სულ არ მოსულა, მაგრამ გამუდმებულმა წვიმებმა და ნესტიანმა ტაროსმა, გარდა იმისა, რომ ენით გამოუთქმელი ტალახი დააყენა და გზები გააფუჭა, მრავალი სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა გააჩინა ხალხში. წინა წლებში ზამთარი უფრო დიდი იყო ხოლმე, მაგრამ ამდენი ავადმყოფობა-კი არ ყოფილა, წელს-კი არგვეთში ისე სახლი არ არის, ავადმყოფი რომ არ იყოს შიგ. უმეტეს ნაწილად არის ჭვალით ავადმყოფობა, რაც, რასაკვირველია, გაციებისაგან ჩნდება. არგვეთში მცხოვრებლებს ტყე თითქმის სულ არა აქვთ. ამის გამო ზამთრობით შეშის მხრივ ძალიან ნაკლულად არიან. ხშირად სადილ-ვახშამს ჩალის ღეროებით დანთებულ ცეცხლზედ ამზადებენ. უშეშობასთან მეტად ცივი სადგომები აქვთ, რაც უფრო უწყობს ხელს ყოველ გვარს სენს. ამ ჟამად აქ ყვავილმაც იჩინა თავი და ორიოდე ბავშვი კიდეც იმსხვერპლა.

მ. ბუაჩიძე

უცხოეთი

—

ვენგრია. ვენგრიის პარლამენტის კრებები განახლდა და ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა თავისს სიტყვაში მთავრობის სამოქმედო პროგრამა აღნიშნა, რომელსაც ყველა დასი თანაგრძნობით მიეგება. სელმა განაცხადა, რომ მე მომხრე ვარ იმისა, რომ არსებული სახელმწიფო ხელშეკრულობანი ვენგრიასა და ავსტრიას შორის ხელ-უხლებლად დარჩესო. შემდეგ იგი მიესალმა აპონის დასს, რომელიც მთავრობის დასს შეუერთდა და დასასრულ გაიმეორა ის, რაც წინაზედაც აღუთქვა ვენგრიას, სახელდობრ ისა, რომ არჩევნების დროს არავითარ ზეგავლენას არ იქონიებს მთავრობა ამომრჩევლებზე და ეს უკანასკნელნი სრულის თავისუფლებით ისარგებლებენ.

გაზეთები სიხარულით აღნიშნავენ არა მარტო მთავრობის გამოცვლას, არამედ სისტემასაც. სელის კაბინეტს 493 დეპუტატთაგან 300 კაცი ჰყავს მომხრე; ამათ შორის 240 ლიბერალია, 30—ლიბერალ-დისიდენტი და 30—ეროვნული დასი გრაფ აპონის მეთაურობით.

—

საბერძნეთი. უკანასკნელ არჩევნების შემდეგ პარლამენტში არც ერთი დასი არ შეადგენს დიდს უმრავლესობას და ეს გარემოება დიდად უშლის ხელს დასთა წინამძღოლებს. ტრიკუპისის დასს 100—125 კაცი შეადგენს, მაგრამ ეს დასი ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთს ხელმძღვანელობს თეოტოკისი და მეორეს—დრაგუმისი, და ორივენი ერთი-მეორეს ებრძვიან. დელიანისის მომხრენი ძლივს-ძლიობით 40—45 კაცამდე იქნება; დელიგეორგისსა ჰყავს 20—25 მომხრე; კარაპანოსს - 5—6; რალის - 4—5. მინისტრ-პრეზიდენტის ზაიმისის დასიც ერთობ მცირე ყოფილა: სულ 20—25 კაცია. 50 დეპუტატი არც ერთს დასს არ ეკუთვნის. ასეთ დაქსაქსულ პარლამენტის დროს არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწისათვის ადვილი არ არის ქვეყნის მართვა-გამგეობა.

—

ჩერნოგორია. უკანასკნელ დროს ვენის გაზეთები ერთობ ამხედრდნენ ჩერნოგორიის წინააღმდეგ, რომელსაც აბრალებენ, ვითომც მას აზრად ჰქონდეს თავისის საზღვრების გაფართოება და ამ მიზნით ჰქადაგებდეს სამხრეთ დალმაციაში დიდი სერბიის აღდგენას. თავიანთ მოსაზრებას ავსტრიის გაზეთები იმაზედ ამყარებენ, რომ სამხრეთ დალმაციაში, განსაკუთრებით კოტორსა და დუბროვნიკში, ჩერნოგორიის მთავარს დიდი სახელი აქვს განთქმული და იმისი სურათი ყველა სერბიის ოჯახში არის. ამ ორი ფაქტიდგან გამოჰყავთ ვენის გაზეთებს, ვითომ დალმატელები ჩერნოგორიის მთავრის წინამძღოლობით დიდის სერბიის აღდგენას ჰფიქრობენ იმ საზღვრებში, რომლებიც მას ჰქონდა დუშანის დროს. ჩერნოგორიას იმ ბრალსა სდებენ კიდევ ავსტრიის გაზეთები, რომ მას აზრად აქვს მაკედონიის ერთი კუთხე მიითვისოს, თუ ოდესმე ეს ქვეყანა დანაწილებულ იქნაო.

◆ ◆

დამაკვირდი

არდა ვწუხ, ვინაითგან ძლეულ ვიქმენ კეთილშობილის მტრისაგან.

ნიკოლოზ მღვდელი

* * *

კითხვა საჭიროა მისთვის, რომ შეგვეძლოს ფიქრობა.

ედუარდ გიბბონ

* * *

სიმუყაითე და სიფაქიზე ერთად-ერთი ღირსებაა, რომელიც უნდა ამშვენებდეს ისტორიკოსს.

ისტორიკოსი გიბბონ

◆ ◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონში მისულ მგზავრებს ბევრს უნახავს პადინგტონის სადგურზე ვერდალიის ტერიერის ჯიშის ძაღლი, რომელიც კარგად ჩაცმულს მგზავრს აედევნება ხოლმე, ეალერსება და იმდენ ხანს აღარ მოსცილდება, ვიდრე ფულს არ მისცემენ, მერე ამ ფულს ჩააგდებს იქვე შეწირულებისათვის გამოკიდებულს ყულაბში. ამ ძაღლს სახელად ჰქვიან ტიმ. ძაღლი ეკუთვნის სადგურის უფროსს. ამ გვარად იკრიბება ფული რკინის გზის მოხელეთა ქვრივებისა და ობლების სასარგებლოდ.—ტიმს ეხმარება კიდევ ერთი ძაღლი, სახელად ჟაკ. ეს ძაღლიც რკინის გზის ერთს მოხელეს ეკუთვნის. ჟაკი ფულს აგროვებს სამხრეთ დასავლეთის რკინის გზის მოსამსახურეთა ქვრივებისა და ობლებისთვის. ამას წინად ჟაკი სრულიად უნებურად რამდენსამე ხანს უსაქმოდ დარჩა. ეს ერთად-ერთხელ მოხდა მთელის ხუთის წლის განმავლობაში. ოქტომბერში ჟაკი გაჰგზავნეს ჯერსეიში, სადაც იმ ჟამად გავრცელებული იყო გადამდები სენი. ჟაკმა ჯერსეიში საკმაოდ მოაგროვა ფული და შინ რომ მოდიოდა, კარანტინში იყო სამ თვეს იმის გამო, რომ გადამდები სენი არ გადიტანოსო.

ყველაზედ უფრო მხნე ქველ-მოქმედთ ოთხფეხთა შორის უნდა ჩაითვალოს ბერნარდის ჯიშის ძაღლი ლეო, რომელიც 1892

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიდგან ფულს აგროვებს ქვრივებისა და ობლების სამკურნალოსთვის ქალაქ კორკში ამ წლიდგან მოყოლებული ლეომ შეაგროვა 15,500 მანათი. ლეოს შეგროვილი ფული ყოველთვის მიაქვს ერთს ბანკში, სადაც მთელი ანგარიშია ამ ძაღლის მიერ შეტანილის ფულისა. ლეოს მიერ შეგროვილის ფულით ზემოხსენებულ სამკურნალოში მუდამ არის უფასოდ ორი ავადმყოფი. ლონდონის ერთს საბავშვო სამკურნალოსათვის საკმაო ფული შეუგროვებია ერთს ძაღლს სახელად შნაპრის. ამ ძაღლს ფულის შეგროვებაში ეხმარება მეორე ძაღლი მიკადო, რომელმაც მარტო ერთს მეჯლისზე ერთს საღამოს 20 მანათამდე შეაგროვა.

ერთს პატარა ფინიას, სახელად შპოტს, სხვა-და-სხვა მეჯლისებზე შეუგროვებია 25,165 ცალი წვრილი ფული, რომელსაც აძლევდნენ „სამსახურისთვის“ და რომელსაც შპოტი თავისს ყულაბში ინახავდა.

იორკში ერთი ძაღლი, სახელად „კენსიგტონი დუკ“, დადის ქუჩა-ქუჩა, თამაშობს, ფულს აგროვებს და ბანკში მიაქვს. სულ ცოტა ხანში ამ ძაღლმა ერთის სამკურნალოსთვის შეაგროვა 620 მანათი.

ფოლკენსტონში კიდევ არის ერთი ძაღლი „იოე“, რომელმაც სულ მცირე ხნის განმავლობაში შეაგროვა ერთის სამკურნალოსთვის 486 მანათი.

◆◆

გამოსადეგი ცნობა

თუ გნებავთ მოწყვეტილი ყვავილი ისე შეინახოთ, რომ ერთი ორი-სამი კვირა არ დაჭკნეს და თავისი ფერი არ დაჰკარგოს, ასე მოიქეცით: ნახევარ ბოთლ წყალში სამი მისხალი ნიშადური გახსენით, ამ წამალში ჩასვით ყვავილი ისე, რომ ყვავილის ყუნწი იყოს წამალში და არამც და არამც თვითონ ყვავილი და ასე შეინახეთ. ამბობენ, ორი-სამი კვირა ყვავილი ამ რიგად შეინახება როგორც ახალი მოწყვეტილი.

◆◆

გასართობი

ცრუ

ტერენტეს ქალაქს წასვლა უნდოდა
და ცოლს დაუწყო მან დარიგება:
„მივდივარ, მაშო, და შენს ხელთ რჩება
ჩემი სახელი, პატიოსნება.
კარგად იცოდე, თუ მიღალატე,
აღარ იქნები არსად საქმე
და მე-კი იმ წამს, რის სხვაზედ გამცვლი,
გამომებმევა ზედ შუბლზედ რქები!..“
— „ოჰ, ეგ რა სთქვიო, უთხრა მაშიკომ:
რაღად მინდიხარ მერე რქიანი?!.
ნუ გეფიქრება, მარტო მაგ შიშით
გიქნები მუდამ ნამუსიანი“...
შეახტა მარჯვედ ცხენს ტერენტე,
ქუსლი შემოჰკრა და გააჭენა,
დაჰყო მან ქალაქს რამდენსამე დღეს
და კვლავ დაბრუნდა სახლისაკენ.
ცოლი ღიმილით გამოეგება
და ნიშნის-გებით უთხრა სიტყვები:
— „ოჰ, რა ცრუ ხარ და რა მატყუარა,
აბა, მაჩვენე, სადა გაქვს რქები?!.“
ახ...

ცოლი. ასე ცხოვრება არ შეიძლება! კიდევ გვიან მოსდიხარ კლუბიდგან და ხარხოშადაცა ხარ!.. აჰა, ჯერ არ დაწოლილხარ და საათმა სამი დაჰკრა.

ქმარი. აბა რასა ჯავრობ, სულიკო? სულ ერთია, ადრეც რომ მოვსულიყავ, ამ დროს საათი მაინც სამს დაჰკრავდა.

* *

მამა (ქალიშვილს არიგებს). როცა თხოვდებოდე, შვილო, ეცადე ჭკვიანი და რიგიანი კაცი ამოირჩიო ქმრად. თუ ჭკუა და სინიდისი არა აქვს ადამიანს, სიმდიდრე ამ ნაკლს ვერ შეუვსებს. არ მიჰბაძო დედაშენს, რომელიც სიმდიდრით მოიხიბლა...

* *

ერთი კაცი და ქალი ერთად დადიან თეატრში. კაცს უცნობი მიუახლოვდა და ჩასჩურჩულა:

— ბოდიშს ვიხდი, თუმცა არ გიცნობთ, მაინც ვბედავ გაგაფრთხილოთ: ნუ დადიხართ მაგ ქალთან, მაგას მთელი ქვეყანა იცნობს, ცოტა სახელი გატეხილი აქვს...

— ბიჭოს! ჩემს ცოლსა?!.

— ?!?..

* *

გლეხი. ბატონო, ემანდ რომ ისვრით ბადეს, რას დაიჭერთ, მაგ ადგილას ხომ თევზის ჭაჭანებაც არ არი?!.

ბატონი. სულელი ხარ, ჩემო ძმაო, თევზის დასაჭერად-კი არ ვისვრი ბადეს, თავის გასართობად ვისვრი...

* *

ცოლი. აი აგეთები ხართ კაცები... აქამდე მეფიცებოდი, — „ჩემი სიცოცხლე ხარო!“, და ეხლა-კი...

ქმარი. მე ფიცი არ გამიტეხნია და მართალიც მითქვამს: ეხლაც „ჩემი სიცოცხლე ხარ“, მაგრამ რა ვქნა, რომ ეს სიცოცხლე მეტად შემძაგდა და შემეზიზღა.

* *

გამომძიებელი. თქვენი სახელი და გვარი.

მოწმე. სოფიო ქარბუქაძისა.

გამომძიებელი. სადა დგეხართ?..

მოწმე. რად გინდათ, მე ქმარი მყავს და ჩემთან სახლში მოსვლა არ შეიძლება.

* *

ტელეგრაფის მოხელე. ეშმაკმა იცის, რა დაგიჯღაბნიათ დეპეშაში... ვერავინ გაარჩევს, შიგ რა სწერია.

ვაჭარი. ვა, შენ გაგზავნე, რა გენაღვლება!.. ჩემმა ბიჭებმა ჩემი ხელი კარგად იცნობენ.

◆◆

დეპეშა

24 თებერვალი

პეკინი. რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა გააგებინეს ცუნგ-ლი-იამენს, რომ აზრად გვაქვს ჩქარა ზღვის ჯარის-კაცნი წავიყვანოთ აქედგან, რომელნიც აქამდის საელჩოებს სდარაჯობდნენო. ჩინეთის მთავრობა სცდილობს დაიყოლიოს ევროპის ყველა სახელმწიფო, იმათაც წაიყვანონ თავიანთი ჯარის კაცნი. ამერიკის ზღვის ჯარის კაცებმა ბრძანება მიიღეს, — წამოდითო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. იმ კითხვაზედ, როგორი წესია დადებული ინგლისის გემებისათვის, რომელთაც ტალიენვანის ნავთსადგურში შესვლა უნდათო, ბროდრიკმა სთქვა: „რადგან აღიარებულია, რომ ეს ნავთ-სადგური ღია უნდა იყვეს უცხო ქვეყნების აღებ მიცემობისათვისო, იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომლებმაც ხელშეკრულობა დასდეს ჩინეთთან, ცხადია, ფორმალურად უნდა ეცნობოს ეს; მაგრამ ეს მხოლოდ მას მერმედ მოხდება, როცა ამ ნავთსადგურში დამოენა დაარსდება, როგორც სხვა ნავთსადგურებში, რომლებიც ხელშეკრულობის ძალით ღია არის ყველასათვის. ეს რამდენიმე ხანია, რაც მთავრობას ცნობები მოსდის, რომ ლონისძიება არის მიღებული საერთო გამგეობისა და ტალიენვანში დამოენის დაარსების შესახებო; ამასთანავე, რუსეთის მოხელეებმა სადამოენო ბაჟი უნდა აიღონ ხოლმე ჩინეთის მთავრობისათვის ჩინეთის ტარიფის მიხედვითო“. ბროდრიკს შეძლება არ აქვს რაიმე სთქვას იმის შესახებ, თუ რუსეთის წესებს ნაოსნობის შესახებ როგორი ზეგავლენა ექმნება ტალიენვანის ნავთ-სადგურის მდგომარეობაზედ. ამ ახლო ხანს პეკინიდგან მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ ჩრდილოეთ რკინის გზის შესახებ რუსეთის ელჩმა წინააღმდეგობა განაცხადა იმისა, რომ ევროპიელთაგან ინგლისას ინჟინერები და მოანგარიშეები იქმნან დანიშნული ამ გზაზედ და ეს იმით დაასაბუთა, რომ ასეთი ნებართვა წინააღმდეგია რუსეთისა და ჩინეთის შორის დადებულ ხელშეკრულებისაო. ამის გამო ინგლისის მთავრობამ მისწერა მაკდონალდს, განაცხადოს, რომ არც ერთი ამ მუხლთაგანი უცხო ქვეყნის კანტროლს არ აარსებს ხსენებულ ლიანდაგებზედაო.

პეკინი. ეჭვს გარეშეა, რომ ჩინელებმა წინადაც იცოდნენ, რის შეძნაც უნდოდათ იტალიელებს. ამბობენ, რომ ვითომც ინგლისის ელჩს ცუნგ-ლი-იამენისათვის ნოტა გაეგზავნოს, რომლითაც იტალიის მოთხოვნილებას მხარს აძლევს. იაპონელები სრულიად არ ერევიან იმათს საქმეში. ისა, თუ როგორ ეპყრობა ჩინეთი იტალიის მოთხოვნილებას და აგრეთვე ჩინ-კიანგის რკინის გზას, მოწმობს, რომ ქვრივ იმპერატრიცის უკანასკნელმა ბრძანებამ, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭირო არისო უცხო ქვეყნების ზეგავლენას დიდი წინააღმდეგობა გავუწიოთო, კარგად გასჭრა. ჩინეთის წყაროებს თუ დავუჯერებთ, იტალიის მოთხოვნილების დაუკმაყოფილობის მიზეზი სხვებზედ უფრო ჩანგ-ი იყო.

რომი. გაზეთს „Tribunas“ დეპეშით სწერენ ლონდონიდგან: „ლონდონში მყოფი ჩინეთის ელჩი მიდის აქედგან დღეს საღამოთი ან ხვალ დილით“.

რომი. ჰფიქრობენ, რომ ჩინეთს განზრახვა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს იტალიის მოთხოვნილებას თავისის მოქმედებით, რადგანაც ჩინეთს არ უნდა შეიწყნაროს იტალიის ვითარება სანმუნში.

„Tribuna“ ჰფიქრობს, პეკინში მყოფი იტალიის ელჩი გამოჰგზავნის დეპეშას და შეგვატყობინებს, რომ ჩინეთმა ბოდიშიც მოითხოვა და დასთანხმდა კიდეც იმ კონცესიებზე, რომლებსაც ვთხოვდითო. „ევროპის ყველა სახელმწიფონიო, — ამბობს გაზეთი, მიუხედავად იმისა, მეგობარი იქმნება ჩვენი, თუ არა, მოწადინებული უნდა იყოს, რომ ნაპერწკალმა ცეცხლი არ გააჩინოს“.

რომი. იტალიის სამხედრო გემები „მარკოპოლო“ და „ელბა“ ჩიფუს არიან; „ამერიკო“ და „ეტნა“ გონ-გკონგში მიდიან; ერთი ანამთან არის ეხლა, მეორე ბატავიაში მივიდა. სამხედრო გემი „სტრომბოლი“ ვენეციიდგან ჩინეთში მიდის. ყველა ამ გემებზე 1583 კაცია, 50 ზარბაზანი დიდის ზომისა და 68 პატარასი.

იოკაჰამა. გუშინ, დილით, ძლიერი მიწის ძვრა მოხდა იმ ადგილებში, რომელიც მიწის ძვრისაგანვე დაზარალდა 1891 წელს. რამდენიმე კაცი დაიღუპა. ზარალი ძლიერ დიდია.

პარიჟი. პრეზიდენტმა ლუბემ გადასწყვიტა გენერალი ბალიუ ისევ დარჩეს პრეზიდენტის მთავარ მდივნად. მიზონი დანიშნულ იქმნა სომალიის ნაპირის მმართველად; ლაგარი მხოლოდ მენელიკთან იქმნება ელჩად.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას უნდოდა ეელო მასკატის სულთანისაგან კონცესია ერთის ადგილისა და უფლებაც ჰქონიყო ამ ადგილას საფრანგეთის დროშა აემართა და ციხე-სიმაგრეები გაეშენებინა. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგებოდა 1862 წლის ხელ-შეკრულობას და იმ საგანგებო ვალდებულებას, რომელიც სულთანმა იკისრა ინგლისის წინაშე. მთავრობა არა ჰკიცხავდა იქ მყოფ ბრიტანიის აგენტის მოქმედებას. ეს აგენტი ისე იქცეოდა, როგორც მთავრობა უბრძანებდა. დელკასეს არა ერთხელ განუცხადებია, რომ მე არაფერი ვიცი შესახებ იმისა, ვითომ საფრანგეთმა იქ ადგილი შეიძინაო. სჩანს, აგენტი სხვაფრივ ვერ მოიქცეოდა და 1862 წლის ხელშეკრულობის თანხმად უნდა მოქცეულიყო, საფრანგეთს შეუძლიან მოითხოვოს ადგილი ნახშირის საწყობისათვის და არა კონცესიისთვის.

25 თებერვალი

პეტერბურგი. 24 თებერვალს, პრინცების ალექსანდრე პეტრეს ძის და კონსტანტინე პეტრეს ძის ოლდენბურგელების თანადასწრებით დიდის ამბით აკურთხეს ახალის სახალხო თეატრის შენობა ნევის ზასტავის იქით, სადაც უწინ მინის ქარხანა იყო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა კვლავ მიეცეს ნება კერძო განცხადებათა ბეჭდვისა გაზეთს „გრაჟდანინს“.

პარიჟი. გამომძიებელმა პაკმა ჩვენება ჩამოართვა მოწმეებს გაბერისა და დერულედის საქმის გამო, პარასკევს უკანასკნელად ჩამოართმევს ჩვენებას ბრალდებულთ და შაბათს დაამთავრებს საქმის გამოძიებას.

პალატა. საერთო განხილვაა სამხედრო ბიუჯეტისა. ემონი ამტკიცებს, რომ სამხედრო ბიუჯეტი ავიდა 875 მილიონამდე, მაგრამ ბიუჯეტის შემოკლებაზე ფიქრიც არ შეიძლება, რადგანაც სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ გერმანიის შეიარაღება და ჩვენც ისე გავაძლიეროთ ჯარი, როგორც გერმანია აძლიერებს: ორატორი სწუხს, ქვეითა ჯარი სუსტი გვყავს, რადგანაც ძლიერ ბევრი ჯარის კაცი მხოლოდ ერთს წელიწადსა რჩება სამსახურში. ფრეისინე ამბობს, თანახმა ვარ, რომ საფრანგეთის ქვეითა ჯარი სუსტია გერმანიის ქვეითა ჯართან შედარებით, მაგრამაო, სთქვა ფრეისინემ, რა გაეწყობა, ისიც უნდა ვიკმაროთ და ვიქონიოთ სახეში ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობა, მაგრამაო, დასძინა ფრეისინემ, როცა სახელმწიფოს სამხედრო ძალა თან და თან ძლიერდება, ბოლოს იქამდე მიაღწევს, რომ რაც ჯარი მიუმატოთ, იმაზე უფრო ველარ გაძლიერდება (ტაშის ცემა). ძნელი იქმნება ომის დროს იმაზედ მეტის ჯარის გაყვანა ბრძოლის ველზედ, რამდენ ჯარის გაყვანაც ეხლა შეუძლიან ამა თუ იმ სახელმწიფოს ფრეისინე ამბობს, არა მგონია, რომ ჯარის მომეტებულ რაზმებს შეეძლოს სახელმწიფოს სამხედრო ძალა განაძლიეროს (სხვა-და სხვა ხმები). ასეთი რაზმები წარმოადგენდა მხოლოდ სათადარიგო ჯარს. მინისტრი დარწმუნებულია, რომ თუ ომი მოხდა, იგი უფრო მალე გათავდება ვიდრე სახელმწიფო სათადარიგო ჯარს გამოიყენებს. „ამიტომ არ უნდა შეგვაწუხოს იმ გარემოებამ, რომ ჩვენის მეზობელი ჯარს უმატებს. ჩვენ ის უნდა ვიზრუნოთ, რომ რაოდენობას გვერთ ამავუყენოთ ჯარის ღირსება. (ტაშის ცემა). მე თავი მომწონს საფრანგეთის იმითი, როგორ გამაგრდა საფრანგეთი საგერ ომისათვის უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში. ამ ჟამად ჩვენ ვზრუნავთ ჩვენის თოფების გადაკეთებისათვის, რის გამოც ჩვენს თოფებს ვერავის თოფები ვერ შეედრება. რაც შეეხება ჩვენს არტილერიას, მე ვამტკიცებ, რომ არც ერთს სახელმწიფოს არტილერია ვერ შეედრება იმას (ტაშის ცემა) ამიტომ ერს შეუძლიან იმედითა დანდობით შესცქეროს მომავალს. ვეცადნეთ დავიცვათ წესიერება ჩვენს ჯარში იმითი, რომ ვიზრუნოთ იმისათვის და უფროსნი სამართლიანად ექცეოდნენ უნცროსებს (ტაშის ცემა). საჭიროა, რომ ჯარი მზად იყოს ყოველგვარ შემთხვევისათვის და შეგნებული ჰქონდეს თავისი დანიშნულება ჯარი მხოლოდ მაშინ არის უძლეველი, როცა დღე ყოველ მზად არის უკიდურეს მსხვერპლისათვის. რაც შემეხება მე, ვეცდები, რომ ჩვენს ჯარს მუდამ შეეძლოს თავისის დანიშნულების ასრულება და ღირსეული ადგილი ეჭიროს (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ვენა. ელჩი ერენტალი დღეს დილით პეტერბურგში წავიდა.

ბერლინი. დღეს იმპერატორთანა და იმპერატრიცასთან ელჩებისათვის გამართულ სადილზე იყვნენ გრაფი ოსტენ-საკენი და იმისი მეუღლე.

რომი. მინისტრებსა პელუს, კანევაროს და პოლუმბოს ბჭობა ჰქონდათ დღეს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც უნდა მიღებულ იქმნას სანმუნის ნავთ-სადგურის დასაჭერად. კანევარო დიდხანს ესაუბრებოდა ინგლისის ელჩს.

◆

„ივერიის“ ფოსტა

ავადმყოფს. არ დაიბეჭდება.

ფ—თელს მუშებს: ვინა ბრძანდებით?

სოფ. შ—დი. თ. ერ—შვილს: არ დაიბეჭდება.

დროებით განჯელს: უკეთესი იქნება იმ გაზეთს მიჰმართოთ, რომლის კორესპონდენტის საპასუხოდაცა სწერთ.

ს—თი. ივ. მ—ს: მაგ შინაარსის წერილი უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში,

ა. ქ—ვს: ლექსი „სოფლიური ზღვა“ არ დაიბეჭდება.

ძ. ბ—მი. უ. ნ—ძეს: არ დაიბეჭდება.

ს. შ—დი. ი. ბ. მ—ძეს: ნეტავი თქვენ, რომ ლექსების წერისათვის მოგიცლიათ. არ დაიბეჭდება არც ერთი და არც მეორე.

ივ. ერ—ძეს: არ დაიბეჭდება.

ა. ს—ძეს: არ დაიბეჭდება.

ძ. თ—ვი. ი. ხ—შვილს: არ დაიბეჭდება.

ძ. კ—ვი. მ. ბ—ძეს: წერილი ბანკებიდგამ გამოსასვლელ ფულის შესახებ არ დაიბეჭდება.

ს—ნ ძ—ძეს: არ დაიბეჭდება.

დ. ო—რე. ხორშელს: არ დაგვაბეჭდინებენ.

ძ. ხ—შ. პ. მ,—შვილს: „საისტორიო შენიშვნა“ არ დაიბეჭდება.

◆◆

Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Февраля 1899 г.

სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე